პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 79 (3056) 23 1966 წ. აპრილი, შაბათი. ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР и республиканского Совета профсоюзов

გამოცემის 22-ე წელი





**თბილისში** ასე იქნა გატანილი გოლი მოსკოვის არმიელთა გუნდის კარში. გ. პეტრიაშვილის მიერ მოწოდებული ბურთისთვის იბრძოდა 6-7 ფეხბურთელი, რომელთაგან რამდენიმე ბურთთან ერთად ბადეში „გატანილი“ აღმოჩნდა. ფოტო მ. ზარგარიანისა.



**ქუთაისში** ადგილობრივი „ტორპედოსა“ და მოსკოვის „ლოკომოტივის“ მატჩის მეორე ტაიმში ქუთაისელ ფეხბურთელებს თითქმის არ შეუწყვეტიათ იერიშები მოწინააღმდეგის კარზე.

სურათზე: მოსკოველთა მეკარე ვ. პოლიაკოვი იგერიებს ძნელ ბურთს ნოდიასთან (№ 11) ბრძოლაში. ფოტო ლ. ფაჩუაშვილისა.

# 3:3

## ყაიმი მე-16 სვლაზე

ჭადრაკის ჩემპიონატი — მსოფლიო — მოსკოვი 1966

**მოსკოვი**, 22 აპრილი (ტელეფონით, ჩვენი სპეც. კორ.). გუშინ ცენტრალურ საჭადრაკო კლუბში მოხდა პეტროსიან — სპასკის მატჩის წინდღით გადადებული V პარტიის დამთავრება. როგორც ვიუწყებოდით, ენდშპილში სპასკის ზედმეტი პაიკი და უკეთესი შანსები ჰქონდა.

თამაშის განახლებისას გამოირკვა, რომ პეტროსიანს შინ გულდასმითი ანალიზით მიუგნია ყაიმის შესანიშნავი გეგმისთვის, რომელიც ვირტუოზულად განახორციელა კიდეც.

დასაწყისშივე პეტროსიანმა თითო ეტლი გაცვალა, რითაც შესამჩნევად შეამცირა თეთრების შემტევი ძალა. მერე მიაღწია იმას, რომ სპასკის ზედმეტი გამვლელი პაიკი დარჩა ლაზიერის ფრთაზე, სადაც მისი წინსვლა ტექნიკურ სიძნელეებთან იყო დაკავშირებული. საქმე ის არის, რომ პეტროსიანის ეტლი და კუ ადვილად ამუხრუჭებდნენ თეთრ პაიკს, ხოლო სპასკი ვერც მეფით და ვერც მხედრით ვერ ეხმარებოდა მას. ბოლოს სპასკიმ გადაწყვიტა დაეთმო ეს პაიკი და სამაგიეროდ მეფის ფრთაზე მიეღო. მაგრამ მიზანს ვერც ეს გეგმა აღწევდა. იქ, სადაც მეტოქენი ყაიმზე შეთანხმდნენ, პეტროსიანს შეეძლო კუ დაეთმო პაიკში, ხოლო ეტლით და მხედრით, როგორც ცნობილია, მხოლოდ გარკვეული პოზიციები მოიგება. ამიტომ, თვით სპასკის წინადადებით, მეტოქენი დაზავდნენ.

**სპასკი — პეტროსიანი**

41. ... ეc2 42. მფg5 ე:f2 43. მd3 ეf3 44. ეae7 ე:e3 45. ე:e3 f6+ 46. მფf4 მფf7 47. მb4 კc4 48. ეc3 ე:h2 49. b3 კe6 50. მd3 ეa2 51. ეc7+ მფg6 52. მc5 კf7 53. ეb7 ე:a3 54. ე:b5 ეa1 55. მe4 ეf1+ 56. მფe3 ეe1+ 57. მფf3 ეf1+ 58. მფe2 ეb1 59. მd2 ეg1 60. მფf2 ეc1 61. b4 ეc2 62. მფe3 ეc3+ 63. მფf4 ეd3 64. მf3 კd5 65. მh4+ მფf7 66. ეb8 ეd4+ 67. მფe3 ეe4+ 68. მფf2 მფe7 69. მg6+ მფd7 70. მf4 კc6 71. მd3 მფc7 72. ეf8 კb5 73. მf4 მფd7 74. ეf7+ მფe8 75. ეb7 ე:b4 76. მd5 ეb2+ 77. მფe3 ეb3+ 78. მფf4 კc4 79. მ:f6+ მფf8. ყაიმი.

• • •

**მოსკოვი**, 22 აპრილი (ტელეფონით, ჩვენი სპეც. კორ.). მატჩის VI პარტია, რომელშიც თეთრებით თამაშობდა პეტროსიანი, მსოფლიო ჩემპიონის წინადადებით მე-16 სვლაზე ყაიმით დამთავრდა.

**პეტროსიანი — სპასკი**

**ლაზიერის გამბიტი**

1. c4 e6 2. d4 მf6 3. მf3 d5 4. მc3 c5 5. cd მ:d5 6. g3 მc6 7. კg2 მ:c3 8. bc cd 9. cd კb4+ 10. კd2 კe7 11. 0—0 0—0 12. ეb1 მ:d4 13. მ:d4 ლ:d4 14. ლc2 ლc5 15. ლ:c5 კ:c5. ყაიმი.

ამრიგად, ანგარიში გახდა 3:3. VII პარტია გაიმართება ორშაბათს, 25 აპრილს.

# 5 მედალი

**ლონდონი**, 21 აპრილი. „უემბლის“ დარბაზში დამთავრებულ ევროპის ჩემპიონატში მაგიდის ჩოგბურთის საბჭოთა ოსტატებმა შესანიშნავი მოსავალი მოიმკეს — ვერცხლის 3 და ბრინჯაოს 2 მედალი. კონტინენტის აქამდე გამართულ პირველობებში მათ ყველაზე თვალსაჩინო მიღწევას შარშანწინ, მალმეში მიაღწიეს, როცა ბრინჯაოს 3 მედალი მოიპოვეს. ასე რომ, მალმეს შემდეგ მათ დიდი ნაბიჯი გადადგეს წინ.

თუ ჩვენი გუნდისადმი ინგლისური სპორტული პრესის ყველა კომპლიმენტს მოვუყურით თავს, თამამად შეიძლება ითქვას, რომ საბჭოთა ჩოგბურთელები ახლა უკვე ისეთ ძალას წარმოადგენენ, რომელსაც არ შეიძლება ანგარიში არ გაუწიონ ფავორიტებმა. საბჭოთა მოთამაშეებმა, მართალია, ვერ შეძლეს ჩემპიონის ვერც ერთი ტიტულის მოხვეჭა, ერთ-ერთი ჟურნალისტის გამოთქმით, მათ „მოსინჯეს ოქროს მადნისკენ მიმავალი გზები“. სსრ კავშირის ქალთა და ვაჟთა გუნდები არა მარტო ვერცხლის მფლობელები გახდნენ, არამედ ერთ-ერთი ყველაზე ახალგაზრდულიც აღმოჩნდნენ, რაც საიმედო პერსპექტივებს სახავს.

პირად პირველობაში „ოქროსთან“ ყველაზე ახლოს იდგა კიეველი სვეტლანა გრინბერგი. ნახევარფინალში ჩეხოსლოვაკიელ მ. ლუჟოვასთან (21:12, 12:21, 21:11, 22:20) გამარჯვების შემდეგ იგი გუშინ ფინალში შეხვდა რუმინელ მ. ალექსანდრუს. ეს ორთაბრძოლა უაღრესად დრამატული გამოდგა: რუმინელმა მხოლოდ მე-5 პარტიაში შეძლო გამარჯვების სასწორის გადაწონა და ჩემპიონის ტიტულის მოპოვება. მატჩის ანგარიშია 21:19, 14:21, 23:21, 21:23, 21:18. გრინბერგი ვერცხლს დაჯერდა.

ვაჟთა პირად ტურნირში კარგად იასპარეზა მოსკოველმა ა. ამელინმა, რომელმაც ნახევარფინალამდე მიაღწია, მაგრამ აქ დაძაბული ბრძოლის შემდეგ წააგო ჩეხოსლოვაკიელ ვ. მიკოსთან — 11:21, 21:17, 20:22, 21:18, 21:8.

ევროპის ჩემპიონმა ჩ. იუჰანსონმა დაამარცხა ს. კოლაროვიჩი (ჩეხოსლოვაკია) — 14:21, 11:21, 21:15, 21:14, 21:13.

ამრიგად, ფინალში ერთმანეთს შეხვდნენ იუჰანსონი და მიკო. კონტინენტის ჩემპიონი ზედიზედ მეორედ გახდა 19 წლის იუჰანსონი, რომელმაც „მშრალი“ ანგარიშით მოიგო გადამწყვეტი ორთაბრძოლა — 3:0. ოქროს მეორე მედალი იუჰანსონმა თავის თანამემამულე ჰ. ალსერთან ერთად მოიპოვა ვაჟთა წყვილებში. უნგრელები ე. ფელდი და ე. იურიკი უძლიერესნი იყვნენ ქალთა შორის, ხოლო ვ. მიკო და მ. ლუჟოვა — შერეულ წყვილებში.

გუნდურ პირველობაში საუცხოოდ გამოსვლის შემდეგ თბილისელი ს. სარხოიანი პირადი ტურნირის პირველივე ტურში დამარცხდა ნესსთან (გფრ) — 1:3.

საბჭოთა გუნდის ნაწილი გაემგზავრა პარიზს, სადაც მონაწილეობას მიიღებს საფრანგეთის ღია ჩემპიონატში.

**საათი!**

◆ **მოსკოვი**, 22 აპრილი. დღეს დრეზდენს გაემგზავრა საბჭოთა ველოსიპედისტთა ჯგუფი, რომლის შემადგენლობაში არიან გ. საიდხუჟინი, გ. ლებედევი, ა. პეტროვი და სხვ. ისინი აქ უკანასკნელ ვარჯიშებს გამართავენ, ხოლო შემდეგ პრაღას გაემგზავრებიან, სადაც სტარტი მიეცემა ტრადიციულ საერთაშორისო შეჯიბრებას — „მშვიდობის XIX ველორბოლას“ პრაღა — ვარშავა — ბერლინი. იგი, როგორც წესი, ყოველწლიურად 9 მაისს იწყება.

◆ **ამსტერდამი**, 22 აპრილი. აქ დაიწყო ჰოლანდიის კრივის ასოციაციის 55-ე წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო ტურნირი, რომელშიც მონაწილეობენ 12 ქვეყნის სპორტსმენები. ევროპის ჩემპიონმა, მოსკოველმა ვ. აგეევმა (I საშუალო წონა) დაამარცხა ჰოლანდიელი ი. ჰსპელენი. პირველი დღის სენსაციად მიაჩნიათ ფრანგი დ. ამატოს გამარჯვება (ქულებით) ტოკიოს ოლიმპიადის ჩემპიონთან მსუბუქ წონაში, პოლონელ ი. გრუძენთან. სსრ კავშირიდან აგეევის გარდა ტურნირში მონაწილეობენ ა. კალინკინი და ვ. ლარიონოვი.

# ფინიშამდე 3 წრით ადრე

**რიგა**, 21 აპრილი (ტელეფონით, ჩვენი კორ.). გრძელდება „ა“ კლასის I ჯგუფის ფრენბურთელ ქალთა საკავშირო ჩემპიონატის დასკვნითი ტურის მატჩები. წარმატებით იბრძვის ცსკა-ს გუნდი. მესამე კალენდარულ დღეს არმიელებმა დაამარცხეს ირკუტსკელი სტუდენტები — 3:0.

საბედისწერო გამოდგა ეს დღე გათამაშების მეორე ლიდერისთვის — მოსკოვის „დინამოსთვის“. 5 პარტიისაგან შემდგარ დაძაბულ ბრძოლაში მან წააგო ბაქოს „ნეფტიანიკთან“. ამ მარცხმა ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის მფლობელს საგრძნობლად გაუფუჭა ვერცხლის მედლებისათვის ბრძოლის შანსები. რაც შეეხება „ოქროს“, მისი მოპოვება თითქმის განაღდებული აქვთ ცსკა-ს ფრენბურთელებს, რომლებიც უახლოეს მეტოქეს 2 ქულით უსწრებენ. ჩემპიონატის დამთავრებამდე დარჩა მხოლოდ 3 წრე.

მოგვყავს დანარჩენ შეხვედრათა შედეგები: „დინამო“ (კრასნოდარი) — „ბურევესტნიკი“ (ოდესა) 3:0, „დაუგავა“ (რიგა) — „ბურევესტნიკი“ (კიევი) 3:0, „სპარტაკი“ (ლენინგრადი) — „ლოკომოტივი“ (მოსკოვი) 3:2.

## სოფლის სპორტსმენთა საკავშირო სპარტაკიადა

# ა. ჯეჯელავა — ჩემპიონი

როგორც ვიუწყებოდით რიაზანში ძალოსანთა გუნდურ პირველობაზე საქართველოს წარმომადგენლებმა V ადგილი დაიკავეს, მაგრამ ჩვენი ზოგიერთი ათლეტი შესანიშნავად გამოვიდა. სსრ კავშირის რეკორდსმენმა, ცხაკაიას რაიონის სოფელ ნოსირის მკვიდრმა ა. ჯეჯელავამ მძიმე წონის ძალოსანთა ასპარეზობაში 475 კგ დააგროვა და ჩემპიონის ოქროს მედალი მოიხვეჭა. წარმატებით გამოვიდა აგრეთვე ქიათურის რაიონის სოფელ უსახელოს წარმომადგენელი ზ. პაპიძე, რომელმაც ქვემძიმე წონაში 415 კგ-ით II ადგილი დაიკავა.

კურგან-ტიუბეში (ტაჯიკეთი) ასპარეზობდნენ რუსულ შაშში. გუნდური პირველობა მოიგეს ესტონელებმა. საქართველოს მოშაშეები თურქმენეთის სპორტსმენებთან ერთად VII-VIII ადგილებს იყოფენ. პირად შეჯიბრებაში ყველას აჯობეს მოლდაველთის წარმომადგენლებმა ვ. კრივორუკმა და ი. პარპულოვამ.

სარატოვში დამთავრებულ მოჭადრაკეთა პირად ტურნირებში უძლიერესნი აღმოჩნდნენ საერთაშორისო ოსტატი მაია რანიკუ (ტალინი) და ესტონეთის ხარიუსის რაიონის კიროვის სახელობის კოლმეურნეობის მუშა ხ. კიარნერი.

5 სახეობის შემდეგ საერთო გუნდურ ჩათვლაში დაწინაურდნენ რსფსრ-ს „კოლხოზნიკის" სპორტსმენები — 69 ქულა. II ადგილზე არიან უკრაინის „კოლგოსპნიკის" წარმომადგენლები (67 ქულა), ხოლო III — საქართველოს „კოლმეურნის" ათლეტები (58).

## ლომები წყალზე

ხარკოვი, 22 აპრილი (ტელეფონით, ჩვენი სპეც. კორ.). წყალბურთელთა გუნდების აქ მიმდინარე საკავშირო ჩემპიონატის რომელ მსაჯსაც გნებავთ ჰკითხეთ თამაშში შექმნილი თუნდაც ურთულესი ვითარების თაობაზე, იგი ზუსტად და ამომწურავად გიპასუხებთ. მაგრამ საკმარისია მან ხელში სასტვენი აიღოს და მატჩის დაწყების ნიშანი მისცეს, შთაბეჭდილება ერთიანად იცვლება. ცხადია, ყველა შეხვედრის მსაჯობა არ დგას დაბალ დონეზე, მაგრამ ზოგიერთი არბიტრის მოქმედება პირდაპირ უსიამოვნო გრძნობებს იწვევს და, რაც მთავარია, მოთამაშეებსა და მათ მწვრთნელებს ანერვიულებს.

ასე იყო მაგალითად, მოსკოვის „დინამოსა" და „ტრუდის" (მოსკოვის ოლქი) შეხვედრისას. მოსკოველმა მსაჯმა ვ. კოგანმა თავიდანვე დინამოელთა მხარე დაიჭირა და გასაქანი არ მისცა „ტრუდის" წყალბურთელებს. დინამოელებმაც ისარგებლეს კოგანის მხარდაჭერით და მატჩი მოიგეს. მსაჯთა კოლეგიამ განიხილა მატჩის შედეგი და გააუქმა იგი. გუნდები ხელმეორედ შეხვდნენ ერთმანეთს. ამჯერად „დინამომ" სამართლიანად გაიმარჯვა — 3:2.

მიკერძოებით იმსაჯა ლვოველმა გ. პინსკიმ მოსკოველი და ლენინგრადელი მეზღვაურების თამაში. საკმარისი იყო „ბალტიკის" დაწინაურება, რომ ჩემპიონთა ტიტულით შეშინებულმა პინსკიმ დაიწყო არაობიექტური მსაჯობა. სრულიად თანაბარი ბრძოლის დროს (3:3) მან „მწვანე გზა" გაუხსნა მოსკოვის გუნდს: 2 ლენინგრადელი გააძევა აუზიდან. ჩემპიონებმა სიამოვნებით მიიღეს ეს „საჩუქარი" და გადამწყვეტი ბურთიც გაიტანეს — 4:3.

ჩვენი „დინამო" შეხვდა მოსკოვის „შრომით რეზერვებს". პირველ პერიოდში დინამოელებმა ვერ გატეხეს მეტოქის „ჯიუტობა" და შესვენებაზე გუნდები „მშრალად" წავიდნენ. მეორე პერიოდში დაწინაურდნენ მოსკოველები და მხოლოდ გააფთრებული იერიშების შემდეგ შეძლეს ჩვენებმა (სანაძემ) ანგარიშის გათანაბრება. მერე ისევ მოსკოველები გავიდნენ წინ და ახლა წიკლაურმა ივაჟკაცა — 2:2.

დასკვნით პერიოდში წიკლაურმა მესამე ბურთი გაიტანა, თუმცა ანგარიში კვლავ გათანაბრდა: მოსკოველებმა კარგად გამოიყენეს 4-მეტრიანი საჯარიმო.

მაგრამ აი, მიმინოშვილმა და სანაძემ ჩინებული კომბინაცია გაითამაშეს და ამ უკანასკნელმა აუღებელი ბურთი გაგზავნა მოსკოველთა კარში. გავიმარჯვეთ — 4:3.

დანარჩენ შეხვედრათა შედეგები ასეთია: „ტორპედო" (მოსკოვი) — „დინამო" (კიევი) 3:3, „დინამო" (მოსკოვი) — კკფ (ბაქო) 3:1, მოსკოვის უნივერსიტეტი — „დინამო" (ლვოვი) 3:2, „ტრუდი" (მოსკოვის ოლქი) — „სპარტაკი" (ლენინგრადი) 3:3.

ზ. ჯაფარიძე.

## [illegible]

### სოხუმი

დამთავრდა აფხაზეთის მოსწავლეთა პირად-გუნდური პირველობა თავისუფალ ჭიდაობაში. შეჯიბრებაში მონაწილეობდნენ ტყვარჩელის, ოჩამჩირის, გალის, გულრიფშის, სოხუმის, გუდაუთისა და გაგრის გუნდები. ყველას აჯობა ტყვარჩელელთა კოლექტივმა. პირად ჩათვლაში ჩემპიონები გახდნენ: ზ. ჩერქეზია (გალი), დ. ჯორჯიკია (გულრიფში), ზ. დარასელია (ტყვარჩელი), ი. ახალაძე (სოხუმის რაიონი), თ. კიკაბიძე, ლ. ლიპარტია, ი. შონია, მ. კიკაბიძე (ყველანი — სოხუმი).

შ. ჯალაღონია.

### ცხინვალი

გაიმართა ადგილობრივ და ქუთაისელ მოსწავლეთა ამხანაგური შეხვედრები კალათბურთსა და ფრენბურთში. პირველ დღეს სტუმრების გოგონათა და ჭაბუკთა გუნდებმა დაამარცხეს მასპინძლები. მეორე დღეს ცხინვალელმა კალათბურთელმა გოგონებმა რევანში აიღეს, ჭაბუკთა შორის კი კვლავ ქუთაისის გუნდმა გაიმარჯვა. ფრენბურთელთა შეხვედრებში აშკარად იგრძნობოდა სტუმრების უპირატესობა.

* * *

დამთავრდა სამხრეთ ოსეთის პირად-გუნდური პირველობა თავისუფალ ჭიდაობაში. გუნდურ ასპარეზობაში უძლიერესი იყო „განთიადი". II ადგილზეა „ბურევესტნიკი", III — „სპარტაკი". ოლქის ჩემპიონები გახდნენ: ა. ბასიშვილი, ე. ვალიევი (ორივენი — „განთიადი"), ვ. გობოზოვი, („სპარტაკი"), პ. ცხოვრებოვი, ს. კანანიხინი, ვ. ჯიოევი (სამივენი — „განთიადი"), ლ. გასიევი („სპარტაკი") და ა. მაგკოევი („ბურევესტნიკი").

ვ. მელქოევი.

### ყაზბეგი

კულტურის სახლში მოეწყო რაიონის ახალგაზრდა ათლეტების პირად-გუნდური პირველობა თავისუფალ ჭიდაობაში. წონითი კატეგორიების მიხედვით I ადგილები დაიკავეს: ზ. ფიცხელაურმა, ე. ალიბეგაშვილმა, გ. ფიცხელაურმა (სამივენი — ყაზბეგი), მ. ლუდუშაურმა, ლ. ხულელიძემ (ორივენი — არში) და ი. მირაქოვმა (ფანშეტი). ქვემძიმე და მძიმე წონებში შეხვედრები არ გამართულა.

ი. ლუდუშაური.

## სპეციალური რეპორტაჟი

### ხაზზეა

ეს მოზრდილი ოთახი, კარზე რომ „პრეს-ცენტრი" აწერია, იოლად მისაგნები როდია ესტრადის თეატრში. მაგრამ თითქმის ყველას, ვინც პეტროსიან — სპასკის მატჩს ესწრება, გულშემატკივრის ინტუიცია შველის და აქ მუდამ ხალხმრავლობაა. თუმცა პრეს-ცენტრში რომ შეხვიდე, საგანგებო საშვია საჭირო. წარბშეკრულ ქალიშვილზე, რომელიც „ადსავლის კარს" დარაჯობს, ნაცნობობა არ ჭრის.

ეს ოთახი ჟურნალისტების სარბიელია. აქედან მთელს პლანეტას ელვის სისწრაფით ეფინება ყოველი სვლის ამბავი, აზრი გათამაშებულ დებიუტზე, მიტელშპილის მიმდინარეობაზე...

ვის არ შეხვდებით აქ!.. აი, ერთ მაგიდას პ. კერესი და ა. კოტოვი უსხედან. თავს ს. ფლორი, ი. ავერბახი, ე. ვასიუკოვი, ა. ლილიენტალი და ბევრი სხვა ცნობილი დიდოსტატი დასდგომიათ. ისინი ინტერესით ადევნებენ თვალს პაექრობას. კერესი და კოტოვი მატჩის III პარტიის ერთ-ერთ პოზიციაზე დაობენ:



— ძალიან პერსპექტიულად მეჩვენება h6-ზე კუს შეწირვა, — ამბობს კერესი.

— შემომწირე და დაგაჯერებ, რომ ეგ დიდი ვერაფერი სვლაა, — აქეზებს მეგობარს კოტოვი — მიდი, გაბედე.

და კერესი თამაშობს 21. კ:h6 დ:h6 22. ეe3 ე:c3 23. ეg3+ მფh8 24. ლe1. მერე ისეთი თამაში გაჩაღდა, ძნელია გაიხსენო ყველა საინტერესო მომენტი. გაიმარჯვა კოტოვმა.

### ლონდონი,

— ხომ ხედავ, ცდებოდი, — იცინის კოტოვი, — პეტროსიანთან ასეთი კომბინაცია არ გავა.

ამ დროს მაგიდის გარშემო აღმართული ცოცხალი კედელი ტალმა გაარღვია.

— რათ, სწორი კომბინაცია არ არის? დაუჯერებელია. — დიდოსტატი მაგიდას მიუჯდა და დაცვის განთქმულ სპეციალისტს — კოტოვს ოპონენტობა სთხოვა.

ახლა დაფაზე მართლაც რომ დაუჯერებელი ამბები დატრიალდა. ტალი განუწყვეტლივ სწირავდა ხან პაიკს, ხან ფიგურას და მეფეს სწვდებოდა.

კერესმა ნიშნისმოგებით გადახედა კოტოვს:

— გიჭირს გამკლავება ხომ?

— მიშასთან ვის არ გაუჭირდება!

— იცით, რა, — ამბობს ტალი, — მე აუცილებლად შევწირავდი კუს, თუმცა ვიცი, რომ წამეგო, ჟურნალისტების ყბიდან ველარ ამოვიდოდი. პრეს-ცენტრში ადვილია ფიგურების შეწირვა, ქვემოთ კი საბედისწეროა. ამიტომაც შეიკავა თავი სპასკიმ. ეჭვი არ მეპარება, რომ სხვა დროს იგი სიამოვნებით შეუტევდა შავ მეფეს.

ასე სახელდახელოდ გამართული დისკუსია აქ ჩვეულებრივი ამბავია.

წამით წამამდე არ წყდება ტელეფონის ზარის წკრიალი. რეკავენ პრაღიდან და ერევნიდან, ლენინგრადიდან და თბილისიდან, ლონდონიდან და ჰავანიდან, ნოვოსიბირსკიდან და ბელგრადიდან... მსოფლიოს თითქმის ყოველი კუთხიდან ჩამოსულან კორესპონდენტები. რომელ ენაზე არ ლაპარაკობენ, რას არ გაიგონებთ!

კოპენჰაგენელმა ჟურნალისტმა თქვა: ლარსენი საგანგებოდ ვარჯიშობს საბჭოთა დიდოსტატებთან სათამაშოდო და მაგალითად ჰავრის ამასწინანდელი ტურნირი მოიყვანა, სადაც დანიელმა დიდოსტატმა პოლუგაევსკი და კროგიუსი დაამარცხა. ბელგრადის გაზეთის „სპორტის" კორესპონდენტმა დიდი საიდუმლოებით გაგვანდო, რომ მილუნკა ლაზარევიჩი მეორედ გათხოვდა.

### ბელგრადი,

მისი მეუღლე ცნობილი თეატრალური რეჟისორიაო. ფლორმა მირჩია დ. ბრონშტეინის „აღმოჩენას" გავცნობოდი. რჩევა ყურად ვიღე, მალე ამ „აღმოჩენას" „ლელოს" მკითხველებსაც გავაცნობ.

პრეს-ცენტრში საგანგებოდ დგას სადემონსტრაციო დაფა. ჟურნალისტებისთვის ყოველ საათში მზადდება საინფორმაციო ფურცელი — კორესპონდენტებს აცნობენ ბრძოლის მსვლელობას, დებიუტებს, აწვდიან საჭირო ისტორიულ ცნობებსაც. ეს ფურცელი საგრძნობლად უადვილებს მუშაობას აქ აკრედიტებულ კალმოსნებს.

... აი, ერთმანეთის გვერდით მაგიდებს უსხედან ავერბახი და ფლორი. წინ საბეჭდი მანქანები უდგათ, მზადდება მორიგი კორესპონდენციები. იქვე ჯიბის ჭადრაკი გაუშლიათ და ამა თუ იმ პოზიციაზე თავიანთ შეხედულებებს ამოწმებენ.

მეტოქეთა სეკუნდანტებს ი. ბოლესლავსკისა და ი. ბონდარევსკის პრეს-ცენტრში იშვიათად მოჰკრავთ თვალს. მოუსვენარი ჟურნალისტების აურაცხელ შეკითხვას რომ თავი დააღწიონ, ისინი „ბრძოლის ველზე", დარბაზში ყოფნას ამჯობინებენ. იქ მათ სათოფედაც ვერავინ ეკარება. „პირადი დაცვა" მოწოდების სიმაღლეზეა: ბოლესლავსკის „იცავს" პეტროსიანის მეუღლე, ხოლო ბონდარევსკის — ოსტატი ვ. ტიხომიროვა. სხვათა შორის, სეკუნდანტები დარბაზის სხვადასხვა მხარეს სხედან, მუდამ ერთსა და იმავე ადგილებზე.

პრეს-ცენტრში ყველაზე უკეთ იგრძნობა მატჩის მაჯისცემა. აქ მოწმდება მრავალი ვარიანტი, კრიტიკის ქარცეცხლში ტარდება მსოფლიო ჩემპიონისა და მისი მეტოქის ყოველი სვლა.

აქ ნათქვამი და განაგონი ასაზრდოებს მილიონობით გულშემატკივარს. ხელმძღვანელობს პრეს-ცენტრს ოსტატი ა. ბიხოვსკი.

თ. გიორგაძე.
(ჩვენი სპეც. კორ.).

მოსკოვი.

### თბილისი..

## ახალი ამბები

ლვოვი, 21 აპრილი. სსრ კავშირის უძლიერეს მსროლელთა აქ მიმდინარე ტრადიციულ საგაზაფხულო შეჯიბრებაში აშხაბადელმა მ. ნიიაზოვმა მცირეკალიბრიანი შაშხანით წოლელა სროლაში 400 შესაძლებლიდან 399 ქულა მოაგროვა და 1 ქულით გააუმჯობესა სსრ კავშირის რეკორდი, რომელიც 1962 წლიდან ეკუთვნოდა ტალინელ ე. რუსის.

რომი, 21 აპრილი. საბჭოთა ჩოგბურთელებმა, რომელთაც აპრილის ბოლოს ბოლონიაში დევისის თასზე იტალიის გუნდთან შეხვედრა უწევთ, „იტალიური აკლიმატიზაცია" ნეაპოლიტანურ კორტებზე ტურნირით დაიწყეს. აქ აგრეთვე გამოდიან ავსტრალიის, ამერიკის შეერთებული შტატების, შვეციის, საფრანგეთის, იტალიისა და სხვა ქვეყნების სპორტსმენები. პირველ შეხვედრებში თბილისელმა ა. მეტრეველმა დაამარცხა იტალიელი მ. ჯირარდელი — 6:2, 6:1, ხოლო ლენინგრადელმა ა. ივანოვმა — მეორე იტალიელი ჩოგბურთელი ა. მენელა — 6:1, 3:6, 6:2.

ციურიხი, 21 აპრილი. ფიფა-მ მომავალი მსოფლიო ჩემპიონატის 16-ვე მონაწილეს აცნობა, რომ წინასწარი პირადი განაცხადების (40 ფეხბურთელზე) ვადა ამოიწურება 28 მაისს, ხოლო საბოლოო განაცხადებისა (22 კაცზე) — 2 ივლისს.

სან-ფრანცისკო, 21 აპრილი. ამერიკის შეერთებულ შტატებში წარმატებით გამოდის სსრ კავშირის კალათბურთელ ქალთა ნაკრები. მეოთხე შეხვედრა სტუმრებმა აქ გამართეს. მათ წინააღმდეგ ამჯერადაც აშშ-ის ნაკრები თამაშობდა. გაიმარჯვეს სტუმრებმა — 75:40 (35:15).







## I ჯგუფი

# მატჩები, გოლები, ავტორები

21 აპრილს შედგა სსრ კავშირის საფეხბურთო ჩემპიონატის მორიგი მატჩები.

„სპარტაკი“ — „შახტიორი“ 1:0. გოლი მეშახტეთა კარში გაიტანა რეინგოლდმა.

„არარატი“ — „ტორპედო“ (მოსკოვი) 1:1. ანგარიში გახსნა ტორპედოელთა ცენტრალურმა თავდამსხმელმა შჩერბაკოვმა. საპასუხო გოლის ავტორია ავეტისიანი.

„ნეფტიანიკი“ — „დინამო“ (მოსკოვი) — 1:0. ბურთი დინამოელთა კარში გაიტანა მელქუმოვმა.

„კაირატი“ — „დინამო“ (მინსკი) 3:1. ფალინის მიერ გატანილი გოლი გაქვითა მინსკელმა მუსტიგინმა. შემდეგ იმავე ფალინმა დააწინაურა თავისი გუნდი, რომლის გამარჯვება საბოლოოდ განამტკიცა კვოჩკინმა.

### III ტური

„ჩერნომორეცი“ — „დინამო“ (კიევი) 0:0.

„პახტაკორი“ — „ზენიტი“ 0:0.

ოდესისა და როსტოვის არმიელთა გუნდების მატჩში (20 აპრილს) გატანილი გოლების ავტორები იყვნენ როსტოველი თავდამსხმელები მატვეევი და ანდრიენკო.

სადღეისოდ ჩემპიონატის საუკეთესო სნაიპერებია „კაირატის“ ნახევარმცველი ი. ფალინი და როსტოველთა თავდამსხმელი გ. მატვეევი •

# თამაშობს ახალგაზრდობა

თბილისი. „დინამოს“ სტადიონი. 21 აპრილი.

„დინამო“ (თბილისი) — ცსკა 1:1 (0:1).

„დ ი ნ ა მ ო“: ურუშაძე, პეტრიაშვილი, ჭელიძე, ხურცილავა, ცხოვრებოვი, ხართიშვილი, გ. სიჭინავა (ილიადი), დათუნაშვილი, ასათიანი, იამანიძე, მაისურაძე.

ც ს კ ა: ბაუჟა, ისტომინი, ანტონევიჩი, ბაგრიჩი, კაპლიჩნი, მანოშინი, გრეშჩაკი, პოლიკარპოვი, ფედოტოვი, სეჯეჩი, ვარგა.

მსაჯი ა. ზვერევი (ლენინგრადი).

თამამად შეიძლება ითქვას, რომ განვლილი მატჩი ახალგაზრდა ფეხბურთელთა ძალების თავისებურ დათვალიერებას წარმოადგენდა. ორივე გუნდში გამოდიოდნენ მოთამაშეები, რომელთა სახელები სულ ახლო წარსულში ბევრს არაფერს ეუბნებოდა ფეხბურთის მცოდნეებსაც კი. მოსკოველთა შორის ესენი იყვნენ ისტომინი, კაპლიჩნი, გრეშჩაკი, ვარგა, ხოლო ჩვენს გუნდში — ჭელიძე, ასათიანი, მაისურაძე.

ეტყობა, სწორედ ამ ახალგაზრდობაზე უნდა იქნას აღებული მთავარი კურსი. და არა მარტო იმიტომ, რომ დღეს მას უხდება ძირითად შემადგენლობაში გამოსვლა.

შეცდომები. და ისიც ნაწვიმარ, მძიმე მინდორზე. რა თქმა უნდა, ეს ბუნებრივი მოვლენაა ფეხბურთელთათვის, რომლებიც თავიანთ პირველ ნაბიჯებს დგამენ დიდ ფეხბურთში, მაგრამ მაინც ზედმეტი არ იქნება, თუ ორიოდე სიტყვით აღვნიშნავთ მათს ნაკლოვანებებს და ისიც მხოლოდ იმიტომ, რომ ხვალინდელმა მოწინავე ძალამ დღეს გაუკეთოს ანალიზი თავის სუსტ მხარეებს და მათი გამოსწორებისთვის იზრუნოს. მაგალითად, ცხადზე უცხადესია, რომ ჭელიძეს მჭიდროდ უნდა აეყვანა ცსკა-ს მთავარი „დისპეტჩერი“ ფედოტოვი, მაგრამ საამისოდ ხომ არ შეიძლება დაირღვეს ძირითადი პრინციპი იმ სისტემისა, რომლითაც თამაშობს თბილისის „დინამო“?! მოპირდაპირე ფორვარდის დევნა მთელ მინდორზე მაშინ, როცა ზონა ღიადაა დატოვებული და არაა დამზღვევი, აშკარა შეცდომაა. გარდა ამისა, მაისურაძე და ასათიანი ივიწყებენ, რომ ზედმეტი შეჯგუფება მეტოქის საჯარიმო მოედანზე მხოლოდ საზიანოა.

თბილისელებმა მთელი რიგი გამოუყენებელი მომენტების შემდეგ თვით მიიღეს გოლი: 22-ე წუთზე სეჯეჩმა თავით გაიტანა პირველი ბურთი.

ანგარიშის გათანაბრება „დინამომ“ მხოლოდ მეორე ტაიმში შეძლო. პეტრიაშვილის მიერ მოწოდებული საჯარიმოს შემდეგ ცსკა-ს კართან შეიქმნა სახიფათო მომენტი, რომელიც გოლით დაამთავრა მაისურაძემ.

ზ. ჩიქვილაძე.



## გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 23 აპრილისთვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „სპარტაკი“ (მოსკოვი) | 3 | 3 | 0 | 0 | 5—1 | 6 |
| „დინამო“ (კიევი) | 3 | 2 | 1 | 0 | 5—0 | 5 |
| ასკ (როსტოვი) | 2 | 2 | 0 | 0 | 4—0 | 4 |
| „არარატი“ (ერევანი) | 3 | 1 | 2 | 0 | 4—2 | 4 |
| „ტორპედო“ (მოსკოვი) | 3 | 1 | 2 | 0 | 5—3 | 4 |
| „ნეფტიანიკი“ (ბაქო) | 3 | 1 | 2 | 0 | 1—0 | 4 |
| „დინამო“ (თბილისი) | 3 | 1 | 1 | 1 | 3—2 | 3 |
| „კაირატი“ (ალმა-ათა) | 3 | 1 | 1 | 1 | 4—4 | 3 |
| „პახტაკორი“ (ტაშკენტი) | 3 | 0 | 3 | 0 | 2—2 | 3 |
| ცსკა | 3 | 0 | 3 | 0 | 2—2 | 3 |
| „ჩერნომორეცი“ (ოდესა) | 3 | 1 | 1 | 1 | 2—2 | 3 |
| „ზენიტი“ (ლენინგრადი) | 3 | 1 | 1 | 1 | 2—5 | 3 |
| „კრ. სოვეტოვი“ (კუიბიშევი) | 2 | 0 | 2 | 0 | 0—0 | 2 |
| „ტორპედო“ (ქუთაისი) | 3 | 1 | 0 | 2 | 4—5 | 2 |
| „დინამო“ (მოსკოვი) | 3 | 1 | 0 | 2 | 1—3 | 2 |
| „შახტიორი“ (დონეცკი) | 3 | 1 | 0 | 2 | 1—3 | 2 |
| „დინამო“ (მინსკი) | 3 | 0 | 1 | 2 | 2—6 | 1 |
| ასკ (ოდესა) | 2 | 0 | 0 | 2 | 0—3 | 0 |
| „ლოკომოტივი“ (მოსკოვი) | 3 | 0 | 0 | 3 | 1—5 | 0 |

# გამარჯვება!

ქუთაისი. ცენტრალური სტადიონი. 21 აპრილი.

„ტორპედო“ (ქუთაისი) — „ლოკომოტივი“ (მოსკოვი) 3:1 (0:1).

„ტორპედო“: კვასხვაძე, ლოსაბერიძე, წივწივაძე, ებრალიძე, ზარია (წვერავა), კუტივაძე, ასიტაშვილი, ვეკუა, ჩხარტიშვილი, ხაუალია, ნოდია.

„ლოკომოტივი“: პოლიაკოვი, კორენოვი, სემიონოვი, კოჩეტოვი, დავიდოვი, პრესნიაკოვი, კოროტკოვი, პეტროვი, გორშკოვი, კოზლოვი, ორეშნიკოვი.

მსაჯი ნ. კირსანოვი (კიევი).

ქუთაისელთა მიერ პირველ ტაიმში განცდილი მარცხი იგივე მიზეზით იყო გამოწვეული, რაც პირველ ორ მატჩში. მათი მცველები განლაგებული იყვნენ ერთ ხაზზე და ძირითადად პერსონალური დაცვის პრინციპით ეთამაშებოდნენ მოწინააღმდეგე თავდამსხმელებს. ამავე დროს, ნახევარმცველები სათანადოდ არ ეხმარებოდნენ მათ მძიმე მომენტებში. მე-8 წუთზე, როცა ტორპედოელები შეტევაზე იმყოფებოდნენ, ბურთი მიიღო პეტროვმა, გაექცა ზარიას, გავიდა წინ და თითქმის შეუფერხებლად გახსნა ანგარიში — 1:0.

შეიძლება ეს გაშვებული გოლი მასპინძელთათვის საბედისწერო ყოფილიყო, მაგრამ ლოკომოტიველებმა რატომღაც გადაწყვიტეს, რომ 1 ბურთი მათთვის საკმარისი იყო და სასწრაფოდ გადავიდნენ დაცვაზე. მართალია, მათ 45 წუთის განმავლობაში შეინარჩუნეს უპირატესობა ანგარიშში, მაგრამ თამაშის მეორე ნახევარმა „ლოკომოტივს“ დამარცხება მოუტანა.

„ტორპედოს“ ეს პირველი გამარჯვება და პირველი 2 ქულა სავსებით დამსახურებულია. შესვენების შემდეგ გუნდი თამაშობდა დიდი ერთსულოვნებით, გააზრებულად, კარგი ურთიერთმოქმედებით. დაცვასა და ნახევარდაცვას შორის გამოიძებნა საერთო ენა, სრული ძალით ათამაშდნენ თავდამსხმელები და შედეგმაც არ დააყოვნა.

გუნდის წარმატებაში დიდი როლი შეასრულა ნახევარმცველმა კუტივაძემ. სწორედ ის იყო საპასუხო გოლის ავტორი: 51-ე წუთზე მან ისარგებლა „ლოკომოტივის“ კართან შექმნილი არეულობით და მოულოდნელად დაარტყა.

შემდგომში ქუთაისელები თამაშობდნენ კიდევ უფრო აგრესიულად და შედეგიანად. 66-ე წუთზე გათამაშდა კომბინაცია ვეკუა — კუტივაძე — ჩხარტიშვილი და ანგარიში გახდა 2:1.

მოსკოველები შეეცადნენ კონტრიერიშზე გადასვლას, მაგრამ მასპინძელთა დაცვა, სადაც გამოირჩეოდა ლოსაბერიძე, ფხიზლად იცავდა თავის პოზიციებს. რამდენიმე ძნელი ბურთის აღება მოუხდა კვასხვაძესაც.

ტორპედოელებმა თავიანთი გამარჯვება განიმტკიცეს მატჩის ბოლო წუთზე, როცა კუტივაძემ შორიდან დაარტყა კარში და პოლიაკოვის მიერ მოგერიებულ ბურთს მიუსწრო ასიტაშვილმა. ნახევარმცველმა ზუსტი დარტყმით ღია პოზიციაში გაიყვანა ნოდია და ანგარიში გახდა 3:1.

შ. ნიჟარაძე.

(ტელეფონით, ჩვენი კორ.).

# ნაკრები მეცადინეობს

სსრ კავშირის ფეხბურთელთა ნაკრები გუნდი ახლა, როგორც ცნობილია, შვეიცარიაში იმყოფება. გუნდის ეს მგზავრობა მზადების ერთ-ერთი გადამწყვეტი ეტაპია ლონდონის მსოფლიო ჩემპიონატის წინ.

შვეიცარიაში გამგზავრებამდე ჩვენი გუნდი ინტენსიურ წვრთნას აწარმოებდა მოსკოვში, ლუჟნიკის სტადიონის ბაზებზე. შვეიცარიისა და ავსტრიის ნაკრებ გუნდებთან მატჩების შემდეგ საბოლოოდ შეირჩევა საბჭოთა ნაკრების 22 წევრი.

**პირველ სურათზე** ნაჩვენებია ნაკრების უფროსი მწვრთნელი ნ. მოროზოვი ბურთების „ნადავლით“ ხელში. წვრთნა იწყება!

**მეორე სურათზე** ალბეჭდილი არიან ფეხბურთელები მორიგი ვარჯიშის წინ. მარცხნიდან: ლ. იაშინი, ვ. პონომარიოვი, ვ. ვორონინი, გ. ჰუსაინოვი, ს. მეტრეველი, ი. ჩისლენკო.

**სურათი № 3.** სავარჯიშო კარის „საზეიმო“ გამოტანა. ამ „ცერემონიალში“ მონაწილეობენ (წინა პლანზე): ს. მეტრეველი, ლ. იაშინი და ვ. პონომარიოვი.

**მომდევნო სურათებზე** ნაჩვენებია ნაკრების წევრთა ვარჯიშის მომენტები: ვ. პონომარიოვი ხვეწს ბურთის მკერდზე მიღების ელემენტს; ლ. იაშინი იცავს კარს; ს. მეტრეველი მხტომელობის გამომუშავების წვრთნისას.

ფოტო ვ. უნ და-სინისა (საკდესი).

## II ჯგუფი

### პირველი მარცხი

ბათუმი. „დინამოს“ სტადიონი. 22 აპრილი.

„დინამო“ (ბათუმი) — „ტექსტილშჩიკი“ (ივანოვო) 0:1 (0:0).

„დ ი ნ ა მ ო“: კვახაძე, როგავა, ჯოხაძე, ონიანი, კიზირია, ქიქავა (დიმანოვი), ვერულიძე, ავალიანი, კონიაშვილი, გიორგაძე, შაფათავა.

„ტ ე ქ ს ტ ი ლ შ ჩ ი კ ი“: ტროფიმოვი, კოკოლოვი, ბაკშინი, ლიუბავინი, შიბროვი, აბდულმანოვი, იაბლოკოვი (შულიაკოვი), ბელკოვი, იბარონოვი, მიხეევი, ბუხოვი.

მსაჯი ა. ვასილიევი (ხარკოვი).

უნდა ითქვას, რომ სტუმრები უკეთ შეეგუენ ნაწვიმარ მინდორს და გრძელი გადაცემებით წარმართეს შეტევა. ისინი სულ მცირე შესაძლებლობასაც კი იყენებდნენ შორიდან კარში დარტყმისთვის და კვახაძეს საკმაოდ დიდი დატვირთვა დააწვა.

„ტექსტილშჩიკს“ უპირატესობა ჰქონდა მეორე ტაიმშიც. მისი გარემარბები კარგად იყენებდნენ მაღალ სისწრაფეს და ხშირად ქმნიდნენ სახიფათო მომენტებს. 55-ე წუთზე მასპინძელთა კართან დაინიშნა კუთხური დარტყმა, ბურთი მიიღო ბუხოვმა და თავით გაგზავნა იგი კარში — 1:0.

ბათუმელებს დარჩენილ დროში ჰქონდათ გოლის გატანის რამდენიმე კარგი შესაძლებლობა.

ვ. მოსეშვილი.

(ტელეფონით, ჩვენი კორ.).

### დაკარგული ქულა

თბილისი. „ბურევესტნიკის“ სტადიონი. 22 აპრილი.

„ლოკომოტივი“ (თბილისი) — „დინამო“ (ტალინი) 1:1 (1:0).

„ლ ო კ ო მ ო ტ ი ვ ი“: რუხაძე, იაშვილი, კოპინი, ოდიკაძე, ფრიდმანი, ძაგანია, მუმლაძე, ისიანი, გავაშელი, ახალკაცი (კოშკელოვი), ჭელიძე.

„დ ი ნ ა მ ო“: სობკოვსკი, უბაკივი, ჩიკმაროვი, ტამკივი, ნაპი, ბელკინი, კოლო, პრიქსი, გაიკოვიჩი, ლუიკი, იაბლოკოვი.

მსაჯი გ. ხაჩიკიანი (როსტოვი).

წვიმა და ტალახი ფეხბურთის ცუდი მეგობარია. სწორედ ასეთ მინდორზე მოუხდათ გუშინ თამაში თბილისელ და ტალინელ ფეხბურთელებს. მიუხედავად ამისა, მატჩი საკმაოდ სწრაფ ტემპში მიმდინარეობდა.

„ლოკომოტივი“ დასაწყისიდანვე აქტიურად უტევდა. მეტოქის კარის აღების მრავალი შესაძლებლობიდან გუნდმა შეძლო მხოლოდ ერთის გამოყენება, როცა სტუმრებმა თავიანთ საჯარიმო მოედანზე მოცელეს ძაგანია და მუმლაძემ ზუსტად გამოიყენა 11-მეტრიანი დარტყმა — 1:0.

შესვენების შემდეგ გაიკოვიჩმა მოულოდნელი დარტყმით გაათანაბრა ანგარიში. მატჩის დამთავრებამდე „ლოკომოტივი“ ამაოდ უტევდა.

ნ. შელია.









▲ **ლაიპციგი.** ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის მეორე ფინალურ მატჩში ადგილობრივმა ხელბურთელმა ქალებმა დაამარცხეს დანიის „ხგ კოპენჰაგენი“ (10:5) და მოიპოვეს ეს საპატიო პრიზი.

▲ **პეკინი.** დამთავრდა ჩინეთის პირველობა მაგიდის ჩოგბურთში. ვაჟთა ფინალში ერთმანეთს შეხვდნენ მსოფლიოს ჩემპიონი ჯუან ძე-დუნი და მსოფლიოს „მეორე ჩოგანი“ ლი ფუ-ჟუნი. გაიმარჯვა ჩემპიონმა — 19:21, 21:15, 21:13, 15:21, 21:16. ქალთა შორის უძლიერესი იყო 20 წლის ციუ ბაო-ცინი.

▲ **პრაღა.** როგორც ცნობილია, 30 აგვისტოდან 11 სექტემბრამდე ჩეხოსლოვაკიაში გაიმართება ფრენბურთელ ვაჟთა მსოფლიო ჩემპიონატი. ბოლო დრომდე უცნობი იყო აზიის ქვეყნების რამდენიმე წარმომადგენელი. ახლახანს დადგინდა მონაწილეთა საბოლოო სია: არგენტინა, აშშ, ბელგია, ბულგარეთი, ბრაზილია, გდრ, ისრაელი, იტალია, კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკა, მაროკო, მონღოლეთი, მექსიკა, პოლონეთი, რუმინეთი, სსრ კავშირი, თურქეთი, ფინეთი, საფრანგეთი, უნგრეთი, ჩეხოსლოვაკია, იუგოსლავია, იაპონია, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა, ჰოლანდია.

▲ **ლონდონი.** მძიმე წონის პროფესიონალ მოკრივეთა მატჩი მსოფლიოს პირველობაზე კ. კლეისა და ინგლისელ ჰ. კუპერს შორის გაიმართება 21 ან 28 მაისს.

▲ **ბუქარესტი.** რუმინეთისა და სომხეთის ტანმოვარჯიშეთა საერთაშორისო შეხვედრაში ვაჟთა გუნდების მატჩი მოიგეს მასპინძლებმა (277,50:277,05), ხოლო ქალთა ასპარეზობაში გაიმარჯვეს სტუმრებმა — 186.184,35.

▲ **მონრეალი.** საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი ე. ბრენდეჯი ეწვია 1972 წლის ოლიმპიადის მასპინძლობის ერთ-ერთ კანდიდატს მონრეალს და დაათვალიერა მისი სპორტული ბაზები.

▲ **მადრიდი.** როგორც ცნობილია, 1972 წლის ოლიმპიადის მასპინძლობაზე ესპანეთის დედაქალაქმაც წამოაყენა თავისი კანდიდატურა, მაგრამ შემდგომში ეს საკითხი მთავრობაში სადავო გახდა. მთავრობის წევრთა უმეტესობა მადრიდში ოლიმპიადის გამართვის წინააღმდეგ გამოვიდა იმ მოტივით, რომ იგი დიდ ფინანსურ კრიზისს გამოიწვევს.

▲ **პლოვდივი.** ევროპის პირველობისთვის სამზადისში აქ გაიმართა ბულგარეთის მძლეოსანთა საგაზაფხულო პირველობა. ასპარეზობის [illegible] და მოზრდილთა და მოზარდთა რამდენიმე [illegible] რეკორდი. მათ შორის აღსანიშნავია ა. დასკალოვას მაჩვენებელი 300 მეტრზე რბენაში — 41,8.

▲ **სალერნო (იტალია).** 251 კილომეტრზე ველორბოლა მოიგო იტალიელმა გიუდო დე როსომ — 6:42.06 (საშუალო სისწრაფე — 37,492 მ). II იყო ფრანგი ჟ. ანკეტილი.

▲ **პელჰემ-მენორი (აშშ).** სამგზის ოლიმპიური ჩემპიონი ბადროს ტყორცნაში ა. ორტური წელიწადნახევრიანი იძულებითი შესვენების შემდეგ ისევ გამოვიდა შეჯიბრებაში და აჩვენა 60,71 მ, რაც მეორე შედეგია წლეულს მსოფლიოში.

# 2:2 ბაზელში

სსრ კავშირის ფეხბურთელთა ნაკრები 20 აპრილს ბაზელში შეხვდა შვეიცარიის ეროვნულ გუნდს. მატჩს 50 ათასი მაყურებელი დაესწრო.

პირველი ტაიმის განმავლობაში უპირატესობა მთლიანად საბჭოთა ფეხბურთელებს ჰქონდათ, რომლებიც შესვენებაზე წავიდნენ ანგარიშით 2:0. ბურთები გაიტანეს ჩისლენკომ და პონედელნიკმა.

მეორე ტაიმში მასპინძლებმა საფუძვლიანად გარდაქმნეს თამაში. 9 წუთის შემდეგ პირველი საპასუხო გოლი გაიტანა კოსპმა, ხოლო 65-ე წუთზე გრობეტმა წონასწორობა აღადგინა — 2:2.

სსრ კავშირის ნაკრები თამაშობდა ასეთი შემადგენლობით: კავაზაშვილი, პონომარიოვი, შესტერნიოვი, აფონინი, გეტმანოვი, ვორონინი, საბო, მეტრეველი, ჩისლენკო, პონედელნიკი, კოპაევი. შესვენების შემდეგ დაშავებული ჩისლენკოს ნაცვლად მინდორზე გამოვიდა მესხი, რომელიც შემდგომში შეცვალა ჰუსაინოვმა.



# ფავორიტები ფინალის მიღმა

**1:0** ოთხშაბათს მანჩესტერის „ოლდ ტრეფორდის“ სტადიონზე ადგილობრივი „მანჩესტერ იუნაიტედი“ ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის საპასუხო ნახევარფინალურ მატჩში შეხვდა ბელგრადის „პარტიზანს“ (პირველი თამაში იუგოსლავიელებმა მოიგეს — 2:0).

„**მანჩესტერ იუნაიტედი**“: გრეგი, ბრენანი, დანი, კრერანდი, ფოულქსი, სტაილსი, ანდერსონი, ლოუ, რ. ჩარლტონი, ჰერდი, კონელი.

„**პარტიზანი**“: შოშკიჩი, იუსუფი, მიხალოვიჩი, ბეჩეიაცი, რაშოვიჩი, ვასოვიჩი, ბაიჩი, კოვაჩევიჩი, ჰასანაგიჩი, მილადინოვიჩი, პირმაიერი.

ინგლისის ჩემპიონმა მატჩი შტურმით დაიწყო და „პარტიზანი“ გაძლიერებული ძალებით იცავდა კარს. ასეთი „ბეტონის“ მიუხედავად, სწრაფი ინგლისელი თავდამსხმელები, რომელთა შორის გამოირჩეოდა ლოუ, მაინც ახერხებდნენ მეტოქის კართან მისვლას.

პირველი ნახევარი უშედეგოდ დამთავრდა. მეორე ტაიმში მანჩესტერელთა შტურმი გაგრძელდა, მაგრამ მათ ფორვარდებს კვლავ არ წყალობდათ ბედი. მდგომარეობა ისე დაიძაბა, რომ ორივე მხარემ უხეშობა დაიწყო, რისთვისაც არბიტრმა მინდვრიდან გააძევა კრერანდი და მილადინოვიჩი.

73-ე წუთზე ინგლისელებმა კუთხური ჩამოაწოდეს, სტაილსმა ბურთი „პარტიზანის“ კარისკენ გაგზავნა, მეკარე შოშკიჩმა მას მიმართულება შეუცვალა და... საკუთარი კარის ბადეში მოათავსა — 1:0.

უკანასკნელ წუთებზე კონელიმ ცარიელ კარს დააცილა ბურთი, შემდეგ ხელსაყრელი მომენტი დაკარგა ჩარლტონმა. „პარტიზანმა“ მინიმალური ანგარიშით წააგო (0:1) და გათამაშების ფინალში გავიდა.

**1:1** ოთხშაბათს მილანის „სან-სიროზე“ ტევა არ იყო: ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის საპასუხო ნახევარფინალურ მატჩში თამაშობდნენ საპატიო პრიზის ორგზის მფლობელი, ადგილობრივი „ინტერნაციონალე“ და ამავე პრიზის ხუთგზის მფლობელი მადრიდის „რეალი“ (პირველი მატჩი „რეალმა“ მოიგო — 1:0).

„**ინტერნაციონალე**“: სარტი, ბურგნიჩი, ლანდინი, ფაკეტი, ბედინი, პიკი, ჟაირი, მაცოლა, პეირო, სუარესი, კორსო.

„**რეალი**“: არაკისტაინი, პაჩინი, დე ფელიპე, სანჩისი, პირი, ზოკო, სერენა, ამანსიო, გროსო, ველასკესი, ჰენტო.

მაყურებელთა აქტიური მხარდაჭერით „ინტერი“ შეტევაზე გადავიდა, მაგრამ არც „რეალი“ დარჩა ვალში — პირველი 10 წუთის მანძილზე ამანსიომ, ჰენტომ და გროსომ 3 სახიფათო მომენტი შექმნეს მასპინძელთა კართან. ესპანელი ფეხბურთელები იბრძოდნენ ყოველი ბურთისთვის და საშუალებას არ აძლევდნენ „ინტერს“ თავისი თამაშით ეთამაშა. მე-19 წუთზე ჰენტომ წინ გაიყვანა ველასკესი, ამ უკანასკნელმა ბურთი კარის გასწვრივ ჩაჭრა და ამანსიომ შეუჩერებლივ გაგზავნა იგი „ინტერის“ კარში — 1:0.

მასპინძლები შეეცადნენ თამაშში გარდატეხის შეტანას, მაგრამ უშედეგოდ — „რეალი“ შესანიშნავად მოქმედებდა. მეორე ტაიმში „ინტერს“ ტერიტორიული უპირატესობა ჰქონდა. მაყურებლების განუწყვეტელი შეძახილებით შეგულიანებული „ინტერი“ მთელი შემადგენლობით გადავიდა შეტევაზე. 78-ე წუთზე პეიროს გადაცემიდან ფაკეტიმ ძლიერი დარტყმით გაათანაბრა ანგარიში — 1:1. ექსტაზში ჩავარდნილმა გულშემატკივრებმა მინდორზე ისროლეს ყველაფერი, რაც კი ხელთ ჰქონდათ. დარჩენილ დროში „ინტერი“ გააფთრებით იბრძოდა, მაგრამ ვერაფერი გააწყო ესპანელთა წინააღმდეგ. „რეალი“ ფინალში გავიდა. კომენტატორები აღნიშნავენ ამ გუნდის შესანიშნავ თამაშს და მილანელი გულშემატკივრების არასპორტულ მოქმედებას.

## ფინალში „რეალი“ და „პარტიზანი“

11 მაისს ბრიუსელის „ჰაისელის“ მინდორზე ფინალურ მატჩში ერთმანეთს შეხვდებიან „რეალი“ და „პარტიზანი“, (საქ. ინფ.).



სურათზე: ბუდაპეშტის ფიზკულტურის ინსტიტუტის I კურსის სტუდენტი ჟ. ფრიჩი ვარჯიშის დროს.

ფოტო კ. ჰემზესი.

# ბაზრობათა თასზე

სარაგოსაში (ესპანეთი) ბაზრობათა თასის გათამაშების პირველ ნახევარფინალურ მატჩში ადგილობრივი „რეალ-სარაგოსა“ შეხვდა ინგლისის „ლიდს იუნაიტედს“.

მხოლოდ მეორე ნახევარში შეძლო „რეალ-სარაგოსამ“ ანგარიშის გახსნა — მარცხენა გარემარბმა ლა პეტრამ ბურთი გაიტანა პენალტიდან — 1:0. ეს გოლი ერთადერთი გამოდგა.

ამავე გათამაშების მეორე ნახევარფინალური მატჩი ლონდონის „ჩელსისა“ და „ბარსელონას“ (ესპანეთი) შორის არ შედგა, ვინაიდან მინდორი წყლით იყო დაფარული და შვეციელმა არბიტრმა ამჯობინა გადაედო თამაში. „ბარსელონის“ ხელმძღვანელობამ პროტესტით მიმართა ფიფა-ს. (საქ. ინფ.).

# ცენტრალური შეხვედრა

უნგრეთის ჩემპიონატის ცენტრალური შეხვედრა — „ვაშაში“ — „ჰონვედი“ დამთავრდა პირველის გამარჯვებით — 3:2. „ვაშაშს“ 6 თამაშიდან 10 ქულა აქვს. ქვეყნის შარშანდელ ჩემპიონს „ფერენცვაროშსა“ და „ჰონვედს“ კი — 9-9.

## მოკლე ამბები

● **ბლეკბერნში** (ინგლისი) ერთმანეთს შეხვდნენ ინგლისისა და თურქეთის ახალგაზრდული გუნდები. მასპინძლებმა გაიმარჯვეს ანგარიშით 2:0. ორივე ბურთი გაიტანა 20 წლის მარცხენა გარემარბმა ა. არმსტრონგმა („არსენალი“).

● **ბელგიის** ეროვნულმა გუნდმა პარიზში მოუგო საფრანგეთის ნაკრებს — 3:0.

# „მერკურიო“ აღნიშნავს

**სანტ-იაგო.** ადგილობრივი პრესა დიდ ადგილს უთმობს სსრ კავშირის კალათბურთელთა ნაკრების გამოსვლებს აქაურ საერთაშორისო ტურნირში. კერძოდ, გაზეთი „მერკურიო“ განსაკუთრებით აღნიშნავს პაულაუსკასის, კულიკოვისა და საკანდელიძის საუკეთესო თამაშს.

სანტ-იაგოში იწყება ტურნირის ფინალური მატჩები, რომლებიც ჩატარდება წრიული სისტემით და გასტანს 11 დღეს.

# ოლიმპიური საზრუნავი რომში

**რომი, 21 აპრილი.** გუშინ აქ გაიხსნა სხდომა საკოორდინაციო კომიტეტისა, რომელიც შარშან გამართული ეროვნული ოლიმპიური კომიტეტების I კონგრესის მიერაა დაწესებული.

საკოორდინაციო კომიტეტის მუშაობაში მონაწილეობენ სსრ კავშირის, იტალიის, ავსტრალიის, კონგოს (ბრაზავილი), იაპონიის, ინგლისის, ლიბანის, მალის, მექსიკისა და შვეიცარიის წარმომადგენლები. საბჭოთა დელეგაციას მეთაურობს სსრ კავშირის ოლიმპიური კომიტეტის თავმჯდომარე კ. ანდრიანოვი.

სხვა საკითხებთან ერთად კომიტეტი განიხილავს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტების ასოციაციის წესდების პროექტს, აგრეთვე ეროვნული ოლიმპიური კომიტეტების II კონგრესის ჩატარების ადგილს.

აქვე მალე დაიწყება საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის სესია, რომელმაც უნდა გადაწყვიტოს 1972 წლის ზამთრისა და ზაფხულის ოლიმპიური თამაშების მასპინძელთა საკითხი.

რედაქტორი მ. კაკაბაძე.

თბილისის სპორტულ ბაზებზე

კლასიკური ჭიდაობა. სპორტის სასახლე 23-24 აპრილი. სსრ კავშირის ახალგაზრდა ათლეტთა გუნდური პირველობა (თბილისის ზონა). დასაწყისი დღეს — 12 ს. და 18 ს. ხვალ — 10 ს. და 18 ს.

ხვალ

ავტორბოლა „თბილისის დიდ პრიზზე“

ვაკე-საბურთალოს გზაზე საქართველოს ავტო-მოტოსპორტის ფედერაცია და დოსააფის რესპუბლიკური ავტო-მოტოკლუბი ატარებენ საგზაო წრიულ ავტორბოლას „თბილისის დიდ პრიზზე“.

ავტორბოლაში მონაწილეობენ მოსკოვის, ესტონეთის, აზერბაიჯანის, სომხეთის, კრასნოდარის მხრისა და საქართველოს უძლიერესი სპორტსმენები. პირად პირველობაში გამოვლენ სსრ კავშირის ჩემპიონები ვ. პტუშკინი და ი. ანდრეევი, ერევნელი გ. ზარგარიანი, თბილისელი ი. პოლტორაცკი და სხვ.

ავტორბოლა ჩატარდება სპეციალური და სტანდარტული „ვოლგის“ ტიპის მსუბუქი ავტომანქანებით. გამარჯვებულთაგან დაკომპლექტდება სსრ კავშირის ნაკრები, რომელიც მონაწილეობას მიიღებს საერთაშორისო შეჯიბრებაში.

დასაწყისი 11 საათსა და 30 წუთზე.

ИНДЕКС 66418 საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობ-ს პოლიგრაფკომბინატი, თბილისი, ლენინის ქ. № 14. 11 უე 01546